


# ნიშადური



№ 49

ქოველკვირული უზრუნალი

№ 49

«ნიშადური» დღეიდან წლის დაძლევაზე ღირს 3 მ. 50 კ. ხოლო წლიურ ხელის მოძვერთ (5 მ) გაეკზავენება ვეულა ძველი №№-ბი, ი. ჭავჭავაძის დიდი სურათი და «ნიშადურის კრებულები».

იუადება წარსული წლის სრული კომპლექტი უდიო—2 მან.

მისამართი: Тифлиς, Валериану Гунია, ред. „Нишадური“. (რედაქცია მატინოვის ქუჩა № 9).

შესანიშნავი სურათები



სიყვარულის მსხვერპლი, გერინგის ნახატი.



### მბენი ხართ თუ მოსვარენი?

„ჰნედავთ, ვითარის კანდიერებით, შეკრებების ჩვენზედ „უსჯულობა“.

ნ. ბ.

#### VI

(დასასრული).

ყოველ შემთხვევაში, ჩვენ ამ წერილში არ გვინტერესებს სხვა ერთა მოწესრიგება, — ამ წერილის მიზანი ჩვენი ავტონომიის დაცვა იყო, და არა სხვა ერთა. სხვა ერთა თავიანთი საქმისა თვითონ იციან. რაც უფრო კარგად შესრულებენ თავიანთ სურვილსა, — მით უკეთესი; ჩვენ მუდამ შეგვიძლია განვუმტკიცოთ მათ ძმობა, ერთობა, გაუწიოთ დახმარება, — მაგრამ ამისათვის ჩვენი უფლებისა, ჩვენი არსებობის მსხვერპლათ შეწირვას გონიერი ადამიანი, გონიერი ერი თავის დღეში ვერც მოგვთხოვს და არც მოგვთხოვს...

ბ-ნი ბ შემდეგ მოგვითხრობს თავის პროექტს ამიერკავკასიის თვითმმართველობის შესახებ. ჩვენ სრულიად არ გვინტერესებს არც ამ პროექტის გარჩევა. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ჩვენი მიზანი ამ წერილში სრულიად არ იყო ამა თუ იმ პროექტებისა და პუბლიცისტების ნაწარმოებთა გარჩევა; მეორე, იმიტომ, რომ ის ლათინათა მსგავსი არგუმენტები ბურჟუაზიისა, პროლეტარიატისა, სხვათა დაჩაგვრისა ან გაძლიერების შესახებ და სხვ. — აგრეთვე არ გვინტერესებს, — იგი მოსაწყენია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათა ხმარობენ რომელიმე წადლის დასაფარავად, ან როდესაც მათ უხეიროდ ხმარობენ. მესამე, იმიტომ, რომ ჩვენის აზრით დიდი აბსურდია თვით ამიერკავკასიის ავტონომია, რადგანაც სწორედ იქ მცხოვრებ ერთათვის საერთო პარლამენტის შექმნა, ოთხი ენის გააფუჭება და სხვა ამგვარი აბსურდი მართლაც ისეთ ნაყოფს გამოიღებდა, მართლაც ისეთ „არეგ-დარეგს“ გამოიწვევდა, ისეთ პოლიტიკურ სიმახინჯეთ განდებოდა, რომ ალბათ ისტორიაში ადამიანს არც კი ახსოვს მსგავსი რამ; მეოთხე, იმიტომ, რომ ბ-ნი ბ არც ისე გულუბნია, რომ მაინცა და მაინც დიდი უფლებანი მინიჭოს ამიერკავკასიის პარლამენტს — იგი ცენტრს მაინც უტოვებს უმთავრეს უფლებას, — მის ფარგალში უნდა იმოქმედოს „ზაკავკაზიის“ სეიმმაო; მეხუთე, იმიტომ, რომ თვით ეს აბსურდული პროექტი აბსურდის მოყვარე ტვინით არის შემუშავებული, რადგანაც, მაგალითად, თავისი ძველებური ტრფიალი გადმოსახლებისა კიდევ არ დავიწყებია ავტორს, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელ დროს უარჰყვეს იგი თვით სინდისიერმა ს. დ. — ბმა. იგი პირდაპირ ამბობს, რომ სახელმწიფოს მიერ ყოველგვარი გადმოსახლება ჩრდილოეთის გუბერნიებიდან უნდა ხდებოდეს ადგილობრივი მმართველობის ნებაყოფლობით. არ შეიძლება რომ ადგილობრივ მმართველობას მიენიჭოს სრული უფლება, რომ ერთხელ და სამუდამოთ მოსპოს სრულიად ეს სულელური და ბაზბაროსული რუსული პრეტენზია გადმოსახლებისა?!... საერთოთ კი, როგორც არა ვსთქვით, ამ საკითხის გარჩევა სრულიად არ შეეხება ამ წერილის საგანს, იგი სულ სხვა მსჯელობის საგანია და შეიძლება შემდეგ ვილაპარაკოთ მახელ.

საზოგადოთ, ამიერკავკასიის მოწყობის საკითხი ისეთი რთულია, ისეთი ძნელი, ისეთი თავის სატეხი, რომ უნიჭიერ-

რესი და უგამოცდილესი მეცნიერნი და პოლიტიკოსნი უნდა პირდებოდნენ ამ მოწესრიგების პროექტის შედგენას. ჩვენი ეს დევები კი, თითქო აქ არავითარი სიძნელე არც კი იყოს, — იტყვიან ორ სიტყვას ბურჟუაზიაზე, სამს პროლეტარიატზე, ოთხს ინტერნაციონალიზმზე და მორჩა და გათავდა, და სრულდა არგუმენტაცია რომელიმე აზრის მისადგებად ან უარსაცოფელად! — არა, ბატონებო, თქვენი და სომეხ ლიბერალთა ჭკუის საქმე არ არის ასეთ რთულ ინტერნაციონალურ და სახელმწიფო-უფლებრივ საკითხთა გადაწყვეტა.

საქართველოს საკითხის გადაწყვეტა კერძოთ კი გაცილებით უფრო ადვილია. ჩვენა გვაქვს ტერიტორია მთლიანი, გვყავს ხალხი, ერი, რომელიც ამ ტერიტორიაზედ საუკუნოებით სდგას და დღეს დიდი უმრავლესობაა. ჩვენა გვაქვს მამასა და მემკვიდრის უფლება თავის უფლებებისა. — ჩვენა გვაქვს აგრეთვე საერთაშორისო უფლება მოკონტრაქტებს მიერ უკანონოდ დათრგუნვილ ავტონომიის აღდგენისა; ეს საკითხი უკვე წარდგენილ იყო საერთაშორისო სამსჯავროს წინაშე, წარდგენილი იყო ისეთ ადამიანთაგან, რომელნიც ბ-ნებს არა გვანან ჭკუითა და ცოდნითა, და ამ საკითხს არც ისე გულგრილდ მოპყრობია საერთაშორისო პოლიტიკა და პრესა, როგორც შეიძლება ეს მოსალოდნელიც იყო. თვით ჩვენმა მოპირდაპირებ — ჩვენ, მომჩივანთა წინააღმდეგობრივ არგუმენტი წამოაყენა, — ეგ საკითხი წინააღმდეგობრამაში უნდა შეგეტანათ, ეხლა კი გვიანააო, და... საქართველოთ უწინად დაპყრობილი არ იყო, არამედ ტრაქტატებით შეერთებული, — ახლა ხომ იგი დავიპყარი თო! — ჰნედავთ, რაში ყოფილა საქმე? — პირველი არგუმენტი ხომ არგუმენტი არ არის, მეორეს რაც შეეხება, უფლებების მხრივ თვალსაჩინოა, თუ როგორი „დაპყრობა“ მოგვივლინეს 1906 — 1907 წლებში ჩვენმა მოკონტრაქტებმა; ასეთი განცხადებით ერს უფლებას კი ვერ დააკარგვინებენ, თვითონვე ამოიკრავენ ცხვირში, — რომ მართლა არსებობდეს სადმე ნამდვილი საერთაშორისო სამართალი.

ყოველ შემთხვევაში ქვეყანამ და თვით მოწინააღმდეგემ თავისი სუსტი არგუმენტებით ჩვენი უფლება აღიარეს — და რა უფლება აქვთ ბ-ებსა და ანებს ჩვენ ეს უფლება წავგვართვან, ან რა სინდისი და ადამიანობა აძლევთ ამის ნებას; რა ჭკვა აქვს აგრეთვე ქართველს, რომ თვით უარჰყოფს თავის უფლებასა და სომეხ ლიბერალთა პროექტებს ჩაკირკიტებს, თითქოს ხაჩატუროვეზს, თუმანოვეზს და ვერმიშევეზს სულ საქართველოს უფლებანი ელანდებოდესთ ღამე და დღე და მოხვენებას არ აძლევდესთ მათი აღდგენისა და განხორციელების წადილი!

დაიხ, საქართველოს ავტონომიის საკითხი უფრო მარტივი, ერთათ ერთი კანონიერია, თუ გნებავსთ, მთელ ამიერკავკასიაში, და სომეხ ლიბერალთა პროექტები და ანის უაზრო ბუჟურთური ჩვენ ვერ მოგვატყუებენ!

მაგრამ დახეთ ბედის სამართალს! როგორც მოსალოდნელი იყო, ბ-ნები, ანები და სომხის ლიბერალები შეერთდნენ. ბ-ნი ბ პირდაპირ აცხადებს, რომ მისი პროექტი ჰგავს 1905 წ. სომხის ლიბერალთაგან წამოყენებულ პროექტსო! შე დალოცვილო, ბ! თუ ქართველ ავტონომისტებს მიტომ სურთ ავტონომია, რომ თავისი პროლეტარიატი დ. ჩაგრონ,





სხვისი პროლეტარიატი თავისას გადაამტერონ და დაჩაგრონ, აგრეთვე დაჩაგრონ სხვისი ბურჟუაზია და თავისი გააძლიერონ როგორც თქვენ ამბობთ, რადგანაც ისინი ბურჟუები არიან, —რა იცით რომ ამ სომხის ლიბერალებს, რომელთა სოციალიზმი მგონი არც თქვენა გწამთ, კიდევ უარესი და საშინელი მიზანი არა ჰქონდათ, როცა ამ პროექტს აყენებდენ ქვეყნის წინაშე? ისინიც ხომ ბურჟუები არიან? თუ სომხები რაღაი ქართველები არ არიან, —იქნებ მათი ლიბერალიზმი და ამიერ-კავკასიის „აქტონომია“ ქართულ სოციალიზმს უღრიდეს? იქნებ მართლაც სომხის ლიბერალიზმიც კი ქართულ სოციალიზმით საღებდა? —არ არის გასაკვირველი, თუ ქართველის ბ-ნის ანგარიშით ეს ასეა, მაგრამ ვეჭობ რომ მარქსსა და ბაქუნის თუმანოვებისაგან და ვერმიშევებისაგან ესწავლათ სოციალიზმი!.. მაგრამ, ვჰ, გაგჩერდეთ აქაც, შოვინიზმს დაგეწამებენ „ხამები“, ბ-ნის მსგავსი „მამულიშვილები“! მხოლოდ არ შეგვიძლია არა ვთქვათ, რომ ი. ჭავჭავაძე მართალი იყო როცა ამბობდა, —სხვისი ბამბაც ჩხრიალობს და ჩვენი კაკალიც არაო! არ შეგვიძლია არა ვსთქვათ აგრეთვე, რომ ისეთ ადამიანებთან ლაპარაკი, როგორც ბნები და ბ-ებია, —შეუძლებელია, რადგანაც ისეთ რაღაცეებს წამოროშვენ ხოლმე, რომ ადამიანმა არ იცი რაზედ მოგვიდეს გული, იმაზედ რომ სისულელეს როშვენ ეს ვაჟბატონები და გაჯავრებენ, თუ იმაზედ, რომ მართლაც გადავიშენდენ საქართველოს საუკეთესო შვილები და საშველი აღარ არის! ბ-ები და ანები ხომ „საუკეთესობათ“ ითვლებიან და მათ „ხალხი“ უჯერის!

ამ „ანმა“, მაგალითად, „ცხოვრების სარკის“ მე-20-ს სტ.ში ბ-ნ არჩილ ჯორჯაძის კითხვაზედ—ქართველი ხალხი დიდის სიყვარულით შეხვდა რუსის მთავრობას თუ აჯანყებითა (ბ. ანი ამტკიცებდა რომ დიდის სიყვარულით!)—ჯერ ხომ სრულიად ლათაიური პასუხი გასცა, ზღაპარიც უწოდა ჩვეულებრივი კანდიდებით პატივცემული პუბლიცისტის პასუხსა, მაგრამ თანაც ისეთი სისულელე ააშშორა რომ მართლაც სასოწარკვეთილებას მიეცემა ადამიანი. ანს სულ მთლად რაღაც ღმერთი გასწყრომია, ველარ ახერხებს ლანძღვასაც კი: თვითთველი თავის სისულელის შემდეგ სხვას უწოდებს ულოლიკოსა და უვიცს, —თვითონ კი... ოჰ, ღმერთო ჩემო! —ქალაქსა, მოქალაქობრივობასა, აღებ-მიცემობა-ვაჭრობასა და კაპიტალიზს ცნებათა ერთ სერიად წარმოიდგენს თავის შეუღარებელ გონებაში, —მეორე, წინააღმდეგ სერიად კი ბარბაროსობას, მოქალაქობრივობის უარ-ყოფასა და ფეოდალიზმს!...


ასეთ ადამიანს რა უნდა ელაპარაკო! პასუხს გასცემ, —არც ღირს და ვერც გაიგებს. სტრაბონი და ათასი სხვა ჩვენი და სხვისი ისტორიკოსის ცნობები რომ მიაწოდო საქართველოს შესახებ, —მას ფეხებზედ ჰკიდია, მაინც თავისას გაიძახის თვალ-დახუჭული, —წინად იყო ფეოდალიზმი, მოქალაქობრივობა არ იყო ფეოდალიზმის დროს, იგი აღმოცენდა კაპიტალიზმის დროს, როცა ფეოდალიზმი დაეცა; მაშინადაც ქრისტეს წინედ საქართველო აყვავებული არ იქნებოდა; იგი არ იქნებოდა აყვავებული არც მე-XII-ე საუკუნეში, რადგანაც ფეოდალიზმი იყო! —სწორედ ასე, ამგვარ პასუხს მიიღებთ მისგან, და მოდი და უპასუხე სერიოზულად ასეთ მკენიერს, ისტორიკოსს, მოაზრებს! დასცინებ და გეცოდება, —რაღა დასცინა ეჭირება ასეთ საპყარს! მერე კიდევ, რომ დასცინი, ვის დასცინი? —განუსჯელ ქართველს, რომელმაც არ იცის რასა შერება, —ისევე შენს სისხლსა და ხორცს, რომე-

ლიც შეიძლება დარწმუნებული იყოს, რომ ~~ქვეყნის~~ შერება და ქვეყნის ემსახურება!.. ვჰ! —~~ქვეყნის~~ რაია ამ ქვეყნიური ცხოვრება ადამიანისა, დაუსრულებელია სულიერი ბოღმა და ტანჯვა, როდესაც ყველა ამას დაუფიქრდები!..

დასასრულ, —კმარა ამდენი ლალატი და „ხამობა“! იკმარეთ ის როლი, რომელიც ითამაშეთ საქართველოს გაბიბრებაში და გათახსირებაში! წინად თუ თავადები და ღენერლები ეწეოდენ ამ სასიკადულო საქმეს, —ესლა თქვენ ნუ დასდგამიხართ მათ მოღვაწეობას, ბატონებო! იცოდეთ, რომ ისინი ფეოდალობაზედ უფრო წრფელად მთავრობასა და ბიუკრატიას იცავდენ ჩვენში, როგორც თქვენ! დროა მართლაც მამულიშვილნი გაგხდეთ, „მოქალაქენი“ სირცხვილია ამდენი თავის დამცირება! სირცხვილია ამდენი ტყუილების ლაპარაკი, უგულწრფელობა, —საქართველოს ცილის წამება, —თითქმის ამ ბედ-შავ ქვეყანას ნამდვილი ნაკლიც არა ჰქონდეს ათასობით, რომ ცილიც არ დასწამო, ის არ მიაწერო, რაც არ უქნია და არც ნდომია რომ ჩაედინა! სტალინიზმი მართალი სთქვა, —ის ხალხი, ვინც თავის ეროვნების სიძლიერეზე არა ჰფიქრობს, ნეხვიაო! მაგრამ იმ აზრთ კი არ იყო მისი სიტყვა მართალი, რა აზრითაც მას ეს უნდოდა, —ფინლიანდია, სხვა დაჩაგროთო; არამედ იმ აზრით არის იგი მართალი, რომ მართლაც თავის დაცვის უნარსა და სურვილს მოკლებული ერი—ნეხვია, —ის არც აწმყო კაცობრიობისათვის არის გამოსადეგი, არც მომავლისათვის; არც მეტადრე სოციალიზმისათვის, რომლის განხორციელებამდის იგი ან მოკვდება, ან იქ ვერას შეიტანს, ნეხვის სუნის მტრსა! დროა შევიგნოთ აგრეთვე, რომ იგივე სტალინიზმი კიდევ უფრო მართალია როდესაც გვეუბნება რუსის ნაციონალიზმის გაძლიერებაზედ! დარწმუნდით, რომ რუსეთის გადემოკრატება და გარესპუბლიკელება შეიძლება ჩვენი სიკვდილის მომასწავებელიც იყოს, თუ ასეთ ნაირად წავიყვანეთ ჩვენი საქმე მამავალშიც. ჩვენ რუსეთს ვუსურვებთ, რასაკვირველია, ვოველივე სიკეთეს, მაგრამ თანაც ქართველებსაც ვეტყვით, რომ დროა გაიღვიძონ, —პროგრესისკთა და რეაქციონერთა შეიძლება უნებლიე და შეიძლება ნებსითი შეთქმულებაცაა საქართველოს წინააღმდეგ! გამოფხიზლდენ და თავი დაუცვან, დაიცვან თავიანთი უფლებანი! უღრესად მართალია პრ. პეტრაჟიციკი, რომელიც ამბობს, რომ ის ადამიანები, რომელთაც თავიანთი უფლების შეგნება არ აქვსთ, არც სხვის უფლებათა სცემენ პატივსაო, და ქართველიც სანამ თავის უფლებას არ შეიგნებს, ვერც რუსს ასიამოვნებს და ვერც „ზაკავაზის“ ერებს. იგი იქნება სასტიკი დესპოტი, თუ ხელში ჩაიგდო ვინმე, —მონა, თუ ხელში ჩაუვარდა ვისმე. ასე იცის იმ კაცმა, იმ ერმა, რომელსაც უფლების პატივისცემა არა აქვს, არც თავისისა და არც სხვისისა! —ასეთები არიან ჩვენი მოლაღატენიც, რომელნიც, აგრეთვე, შეიძლება ნებსით, შეიძლება უნებლიეთ, იმ შეთქმულებაში ურვეიან და ჩვენ წინააღმდეგ ყველაზედ უფრო გამძვინვარებული იბრძვიან. ესე ყოველთვის ასე ყოფილა, განდგომილს ყოველთვის სხვაზედ მეტად სძულს თავისი ერი. ასეა დღესაც! მონობასა და ლაქობას ტრიუმფი გაუმართეს საქართველოში, საქართველოს წინააღმდეგ, ქართველმა სოციალისტებმაც კი!

წინათ ამას ჩვენი ღენერლები ჩადიოდენ, ესლა კი, სხვა ფორმით, ჩვენი სოციალისტები! კმარა ხამობა! ჯერ კიდევ არ დაგვიანებულა ჩვენი განკაცება! დავაჩქაროთ, თორემ როდესაც მთლათ გადაგვერეცხება შუბლი, მაშინ უკვე გვიანდა იქნე-





ბა. ადამიანი გარყვნილებისა და ლაქიობის ვარჯიშში ისე ფუტდება, რომ შეიყვარებს ხოლმე იმ წუმბეს, სადაც იგი მრავალ წელთა განმავლობაში ჰგორავს. სხვა არა იყოს რა, სირცხვილია ყველასი,—ვეროპისა, ჩვენი მეზობლებისა, და განსაკუთრებით რუსებისა! მაპატიეთ, თუ ერთი უხერხული შეღატაკება მოვიყვანო, მაგრამ მაინც ერთ ჭეშმარიტებას მოგახსენებთ. ვადამეტებული ლაქიობით აღჭურვილი ლაქია ყოველთვის ეჯავრება არისტოკრატ ბატონს, აგრეთვე ყველა ჭკუიან და გაიძვერა პოლიციის დეპარტამენტის უფროსს ეზიზღება სულმდაბალი და იაფ-ჯამაგირიანი ჯანუში..

ალაროდელი.

მ გ ზ ა ვ რ ს.

ჰე მგზავრო! გულის გასართობელად შენ წამოსულხარ — ნეტავი შენა. მთაზე აღიხარ, ჰსეირნობ ველად და ქალაქებში მოგვლის ღებნა. გაჰყურებ ცასა ფირუზის ფერსა და მშვენიერსა მთებისა წვერსა, სადაც არწივი დინჯად ჰტრიალებს და ჩუმად არის, არა ჰგრიალებს შურისძიების ღირსეულ მეხი; გაჰყურებ ტყესა, სადაც ქურციკი ჰტის და ნავარდობს.. მაგრამ იცი კი რა ნიადაგზე გრდვია ფენი?! იცი — რა ქვებით, რა მიწით არი სავსე და ძვირი ეს მთა და ბარი?!

ჰე მგზავრო, ეს გვაქვს შესახვეწელი: უთხარ ევროპის ყოველსა ერსა, რომ ჩვენ ათასი ექვასი წელი ვებრძოდით მედგრად სხვა და სხვა მტერსა. და მორჩილებმა ბედის წერისა უცხო ერთობით გულთა ჟღერისა შევკარით ეს გზა ევროპისკენა და დავიცევით რჯული და ენა. საქართველოს მტკიცე შვილები აი, აქ იდგნენ თავ-გასაწირად, მხნეს და მამაცებს ხელში ეჭირათ კავკასიონის თერმოპილები, და საუკუნეთ განმავლობაში აქ გამარჯვების ისმოდა ტაში.

შენსა ევროპას — მერწმუნე მაში — ხელი შეუწყო ამან ფრიადა, შრომა, ქიშობა, ღებნა, თამაში და გონებრივი ოლიმპიადა მის მიდამოზე არა ჰწყდებოდა; ჩვენში კი ამდროს იხოცებოდა

რაზმი გმირების, სულით ღირსების ჩვენი ძვირფასი ლეონიდების; ეს ბედის წერა საუბედურო, თუმც საგმირო და ღიადი ასე, შენა ვერა სცან, ვერ დააფასე, ჰოი ევროპავ, შე უმადურო, შენ დღესაც იმის არა გაქვს დარდი სცნო, თუ ვინ იყო ის ავანგარდი.

ის იყო ერი თავისუფალი, მან არ იცოდა შიში და ძრწუნვა; მხოლოდ ცრუ აღთქმამ აუბა თვალი და გაუფანტა ეჭვი და ჭმუნვა; არც რა სწყუროდა, ერთობის გარდა, მაგრამ უფსკრულში გადაუვარდა, ვით დედას შვილი, ძვირფასი შვილი, თავისუფლება ხმლით შექცენილი. მერე ლალატის შემარცხვენისა მოხვდა ისარი დაუთვალავი, წაიქცა — დასდო თათებზე თავი და ჰწევს, ვით ლომი ტორვალდსენისა, ჰწევს — უბრუნდება კვლავ თავ მომწონე სიფიცხე გულში, თათებში — ღონე.

მაგრამ დღეს ბრძოლის არა აქვს თავი, და ცას გაჰყურებს წარსულთა დროთა, სადაც ბრწყინავენ, როგორც ვარსკლავი, თამარი ღიდი, ღიადი შოთა; სადაც ვარსკლავი ბევრია კიდე, და ქვეყნის პირად, კიდითი კიდე, იშლება ნელა და ცისკენ მიდის ნაღველი მწველი ირაკლი ღიდის. ესა გულს უკლავს, ესა აჟღერებს, უკვე გავიდა მესამე წელი .. ჰე მგზავრო, ეს გვაქვს შესახვეწელი, შენ გადაეცი დასავლეთ ერებს ჩვენი მოკითხვა — ჩვენი უსტარი სამხიარულო, ვით გლოვის ზარი.

გიორგი გვაზავა

მალა ცხოვრება.


(მულტატუიდან)

I

მალა, მალა ჰაერში დაფოფინებდა პებელა. მას ახარებდა თვისივე სილამაზე, თავისუფლება და ყველაზე უფრო კი ის, რომ თვალწინ ეშლებოდა რაც რამ დაბლა იყო.

კაცს ეგონებოდა, თავის ძმებს, რომელნიც





ქვევით მიწაზე ერთი ხ-დან მეორეზე დაფრინავდენ, უძახოდა:

ამოდით ზევით, ამოდითო!

„არა. ჩვენ თაფლს შევექცევით და დავრჩებით ქვევით“.

„ო რომ იცოდეთ, რა კარგი რამ არის სუ-ყველაურის დანახვა, ო ამოდით, ამოდით ზევით!“

„არა; თუ არა მანდ, ზევით ყვავილები, რომ შევძლოთ თაფლის გამოწუწვნა; თაფლი ჩვენი სა-ზრდოა!“

„აქედან ყველა ყვავილის დანახვა შეი-ძლება და ეს სიამოვნება...“

„გაქვს თაფლი მანდ, ზევით“?

არა, ეს მართალი იყო, რომ თაფლი იქ არ მოიპოვებოდა! საწყალი პეპელა, რომელსაც ეჯავრებოდა ქვევით ცხოვრება და-ლალა....

მაინც ცდილობდა მალა დარჩენილიყო... გაშლილი, ფართო გადმოსახედავი, ყველაფრის და-ნახვა ახ-რებდა. თაფლი კი.... თაფლი? არა, თა-ფლი ზევით არ იყო.

დასუსტდა საწყალი პეპელა, მთქრიანს შე-ეპარა სისუსტე; ძირს ეშვებოდა ნელ-ნელა; უფრო და უფრო სანახაობა მის თვალებს ეკარებოდა....

მაინც ცდილობდა პეპელა....

ვერ მოახერხა რა და ჩამოიწია ძირს!...

„აი, დაბრუნდი ხომ!“ დაიყვირეს ძმებმა. აკი გითხარით? ხომ მოხვედი, რომ თაფლი გამოსწუწ-ნო ყვავილებს, როგორც ჩვენ ვშვებით. ჩვენ ეს წინათვე ვიცოდით!“ ასე იძახოდნენ ძმები და უხა-როდათ, რომ მართალი იყვნენ, რადგან მათ არ ქონდათ სურვილი მშვენიერების ხილვისა იქ, მა-ლლა.

„მოდით მაშ, სწუწნე თაფლი ჩვენსავით!“ პე-პელა უფრო და უფრო ვარდებოდა.... უნდოდა კიდევ.. ყვავილის ბუჩქისკენ... მიადწევს კი? ბუჩქის ახლო დაეცა პეპელა გზაზე, ქვიშამოყრილ გზაზე.

იქ კი ვირმა გასრისა.

## II

მალა, მალა ჰაერში დაფოფინებდა პეპელა. მას ახარებდა მისივე სილამაზე, თავისუფლება და ყველაზე უფლო კი ის, რომ თვალწინ ეშლებოდა ყველაფერი, რაც ქვემოთ იყო.

თავის ძმებს უძახოდა ზევით ამოსულიყანენ, მაგრამ ძმები უარზე იდგნენ, რადგან არ უნდო-დათ თაფლის მიტოვება, ქვევით რომ იყო.

თვითონ პეპელას არ უნდოდა ქვევით ჩამო-სვლა, რადგან ეშინოდა მოუხეშელს ვირის ქაჩაჩს აუ გაესრისა.

რადგან პეპელას ისეთივე მოთხოვნა ქო-ნდა თაფლის, როგორც ყველა სხვა პეპელას, ში-ფრინდა ერთ მათზე, სადაც მშვენიერი ყვავილები იზრდებოდა და ისეთი ფერდობი იყო, რომ ვირები ვერ მოიდგამდნენ ფეხს.

გახარებული დაფრინავდა ის ხან იქით და ხან აქეთ, პირს იმტყბარუნებდა თალით და მადლიე-რი იყო, რომ ქვევით ჩამოფრენა არ ესაქირებოდა. როცა შეხედავდა, რომ რომ რომელიმე მოძმეთა-განი ძლიერ უახლოვდებოდა ეტლის კვალს, გა-სრესილი პეპელებით აქრელებულს, ცდილობდა, რაც კი შეეძლო ფრთების ქნევით გაეფრთხილებინა.

მაგრამ გაფრთხილებას არ აქცევდნენ ყურა-დლებას. თვით პეპელასაც მალა ვერ ხედავდნენ ძმები დაბლიდან, რადგან მხოლოდ თაფლის შე-კრებაში იყვნენ გართული დაბლობში და სრუ-ლიად არ იცოდნენ, რომ ზევითაც, მთაზე, ყვავი-ლები იფურჩქნება.

ნ. ლორთქიფანიძე.

## შექსპირიდან.

ის დღე იყო მშვენიერი აყვავებულ მაისისა; ბალში ვიჯექ და მფარავდა ჩრდილი ტურფა მარსინისა\*)! ცხოველები მიმოხტოდნენ, უურს ვუგდებდი ფრინველთ სტვენას; ყვავილები თავსა ჰხრინდნენ, ეძლეოდა ვარდი ლხენას! გადაფურჩქნულ მცენარეთაც თავს დაჰქროდათ სიხარული; მხოლოდ ბუჩქზედ დაღვრემილი მწარედ კენესდა მუნ ბულბული!...

ხან იძახდა „ცია-ციას“, ხან ისმოდა გლოვის ზარი; მოვუსმინე, თვალთ მომაწვა ბოლმით სავსე ცრემლის ღვარი. ის მოსთქვამდა თვის ნალველსა, მაგრამ ჩემიც მომაგონდა; და ვფიქრობდი: გამწარებულს საქმე ნეტა ვისთან ჰქონდა?!

ჰე საბრალოვ, ვის შესჩივი, აქ არავინ შეგიბრალებს; პირუტყვთ სტვენა სულ არ ესმით,

\*) მცენარეა.





ხე ცრემლებსა ვერ დაგაფრქვევს!  
 პანდიონი\*) მეფე მოკვდა  
 და შეიპყრეს მეგობრები;  
 მათ სულს ტანჯავს შეუნდობლად  
 მძიმე ხუნდნი და კედლები,  
 შენმა სატრფომ გიღალატა,  
 გადაფრინდა შორს მხარესა;  
 ობლად დარჩი, უმეგობროდ,  
 ვინ გცემს ნუგეშს მწუხარესა?

ჰე ბუღბუღო, შენს დღეში ვარ,  
 აწ ობოლი ვინ მალხინოს?  
 ყველამ დამგმო, არვინა მყავს,  
 მკერდს მიმიყრდნოს, შემობრალოს!

ა შ-ლი.

**მანც მოგებაში ვიქნებით,**

**ნინია.** — აჰა, ეს ერთი წელიწადია რაც  
 ჩვენი კარლო ჩხეიძე და გეგეჭკორი სახელმწიფო  
 დუმაში სხედან, და აბა რა შემატეს საქართველოს,

**ივანიკა.** — ჯერ კი არაფერი და, თუ ამ ხუთ  
 წელიწადში ეგ დუმაც არ დაითხოვეს, საქართვე-  
 ლოს ორი ზდილობიანი კაცი მოემატება

**ს ა ტ რ ფ ო ს**

დე, ისევ ტანჯვა დამეცეს თავსა,  
 სევდამ ჩამოკრას სიცოცხლის სიმებს;  
 დე, დამიბნელდეს თვალის სინათლე,  
 ნულა ვხედვიდე მხის დიად სხივებს;  
 ისევ ზამთარმა მოსწყვიტოს ვარდი,  
 ჩაქკნეს სიცოცხლე აყვავებული;  
 ყვავის შემზარავ კენესამ შესცვალოს  
 ბუღბუღლის სტვენა ათროლოებული, —  
 ოღონდ შენ, ტურფავ, ტრფობისა მუხავ,  
 ნუ შეურაცყოფ ჩემს სიყვარულსა,  
 და უხილავი ცეცხლის, აღში  
 ნუ ჩაჰკლავ შენთვის მგზნებარე გულსა.  
 დე, ბედმა მტანჯოს, შენ ნუ დამტანჯავ,  
 ნუ მომგვრი ცრემლებს ამდურებულსა, —  
 და მაშინ, ჰოი, ცამდე აღაფრენ  
 შოთა რუსთველის ჰანგით შემკულსა!

**ი. მჭედლიშვილი.**

**ყოჩალი დეპუტატი რკონული**

**დარჩო.** — ძალიან ყოჩალი დეპუტატი რკონული  
 ჰყოლიათ იმერლებს სახელმწიფო დუმაში....

**ფირუზ.** — გეგეჭკორი?

**დარჩო.** იმ ოჯახ-აშენებულს ლაპარაკი  
 „უბრაგონოთ“ სკოდნია, მგზავრობა კი „დვინოი  
 პრაგონით“.

**ოთხი წლის სამსახური \*)**

სოფლის ექიმის ცხოვრებიდან

ძლიერ დახელოვნებული იყო აშოიკობაში.  
 ქალ-ბატონებს ხომ უყვარდათ, მაგრამ არც ქალი-  
 შვილებს მოსწონდათ ნაკლებად ისე იყო გათამა-  
 მებული, რომ ეგონა, ყველა ქალიშვილს იამე-  
 ბოდა მისი აშოიკობა იცოდა, ვისთვის რა უნდა  
 ეთქვა, ვისი გული როგორ უნდა მოეგო. ზოგს,  
 ვისაც სიღუბეჭირე სჩაგრავდა, სილამაზეს უქებდა;  
 ლამაზს ხან გაუაშოიკებოდა, ხან, განგებ, გულ-  
 გრილობას გამოიჩენდა, უცვად გაუსხლტებოდა, და  
 სხვა ქალიშვილთან დაიწყებდა მუსაიფს, აშოიკობას,  
 რომ გული დაეწყვიტა, გულში ექვეები აღეძრა სა-  
 ტრფოსათვის. მერე როგორი მუსაიფი იცოდა!  
 თვალს თვალში გაუტარებდა, ნაზი, მომხიზლავი  
 სიტყვებით ეფურჩულებოდა, ერთი სიტყვით, ისე  
 იქცეოდა, თითქო თავის მოსაუბრეზე უსაყვარლე-  
 სი არავინ ყავდა ქვეყანაზე. და არავინ კი იყო  
 ისეთი, რომ დაენახა მისი ფუქსავატი გული! და  
 რწმუნებული ვარ, თუმცა ჯერ ძლიერ ყმაწვილი  
 იყო, ბევრი ქალიშვილი ეყარებოდა მოტყუებულს  
 და იმედ-გაცრუებულს!

აქ უნდა აღვწერო ერთი ვახშამი, რომელიც  
 ბევრი მხრით იყო საყურადღებო. „მირივი სუ-  
 დიას“ ეწვიენ „ოკრუენი სულის“ ჩლენები“. მო-  
 წვეული იყო აგრეთვე ახლად მოსული „უენდნი  
 ნაჩალნიკი“, რომელზედაც ამბობდენ, განათლებუ-  
 ლი კაციო. იმავე დროს ეთხოვებოდენ „გიე“ გა-  
 მომძიებელს, რომელიც ახალ ადგილზე გადაეყვა-  
 ნათ. გაჩაღდა „სუდიასას“ არა ჩვეულებრივი „სა-  
 ლამო“. დაჯაცურდენ დაბის მანდილოსნები და კა-  
 ვალრები. საღამომ „კარგად ჩაიარა“. უკრავდენ  
 პიანინოზე, ცეკვავდენ, კარტს თამაშობდენ, მას-  
 ლათობდენ, მხიარულობდენ. საღამოს გვირად ჩაი-  
 თვლებოდა „გიე“ გამომძიებელი. ქალიშვილებს  
 უმთავრესად ის ამხიარულებდა. ხელოვნურად ას-  
 რულებდა კავალრის დანიშნულებას. მიხვრა-მო-  
 ხვრაზე და სახეზე ეტყობოდა, რომ ძლიერ აფასე-  
 ბდა თავს და ეგონა თავისი აშოიკობით აბედნიე-

\*) ფრინველთა მფარველი მეფე.

\*) იხილე № 47.





განდევნილი.

რებდა ქალი-შვილებს „ჩილენები“, „ნაჩაღნიკი“, „სუღია“ და სხვა უფროსი ჩინოვნიკები კარტს თამაშობდნენ, ჩხუბობდნენ, ხმაურობდნენ. ბოლოს განიმართა ვახშამი. უგემური „მრავალ ჟამიერის“ სიმღერა, ანუ, უკეთ ვთქვათ, ღრიანცელი სათვალავში ჩასაგდები არ იყო, საინტერესო იყო ცხარე კამათი ერთ უბრალო საგანზე. მაზრის ექიმს გაეკეთებია „ვიზიტი“ „სუღისთვის“ და მას უკან აღარ გამოჩენილიყო მის ოჯახში. ზოგი ამბობდა, ჯერ „სუღიამ“ უნდა გადუხადოს ექიმს „ვიზიტი“ და მერე ექიმი მოვალე იქნება გაუკეთოს „ვიზიტი“ სუღიას ცოლსაო. ამ აზრის იყო სხვათა შორის „გიჟი“ გამომძიებელიც. სხვები სხვას ამტკიცებდნენ. კამათში ყველა ჩაერია, ცხარობდნენ, ასახელებდნენ ვიღასაც თხზულებას ზრდილობაზე; მეტად გაბრაზებული იყო „სუღიას“ მეუღლე. „გიჟი“ გამოძიებელი როგორც ყველაფერში, აქაც მეტრიზობდა მომითმინეთო, ეუბნებოდა თავის მომხრეებს; თქვენ გაჩუბდეთ, რათ მინდა თქვენი დახმარება, მე დამაცადეთ, ნახავთ, როგორ მოკლედ მოუჭრა სიტყვა ჩემს მოკამათებებს, ხელად გავაჩერეო და სხ. საინტერესო იყო აგრეთვე „სადღეგრძელო“, რომლითაც „სუღიამ“ მიმართა გამომძიებელს. „სადღეგრძელო“ ქებათა ქება იყო გამომძიებლის მოღვაწეობისა. „შენთან ერთად სიცოცხლე მოშორდება ჩვენს დაბასო“ ასეთი ქათინაურით დაამთავრა „სუღიამ“ თავისი სიტყვა, რომელსაც მოჰყვნა „ურას“ ძახილი და ხრინწიანი „მრავალჟამიერი“. ვახშამს უკან „ჩილენები“ კარტის სათამაშო მაგიდას მიეშურნენ. სტუმრები დარბაზში გავიდნენ. რაღაცა განგებით მე სუფრას შევრჩი. ვხედავ: „სუღის“ ცოლი და გამომძიებელი ადგილიდან არ იძვრიან, ვიფიქრე, ალბად რამე საიდუმლო მოსაღაპარაკებელი საქმე აქვთ თქო, ავდექი სასადილო ოთახიდან. კარებს რომ გავცდი, უნებურად უკან მივიხედე, და ოჰ, ღმერთო, რა ნახა ჩემმა თვალებმა: სუღის ცოლი და გამომძიებელი ერთი მეორეს შემოხვევოდნენ და ჩასწებებოდნენ ტუჩებით. ვახშამიდან რომ დავბრუნდით შინ გზაზე საშინელი ჟრიაბული იდგა, რომელიც აღვიძებდა მძინარე დაბასს. მეტად კმაყოფილი იყო „ნაჩაღნიკი“. „კარტი ვითამაშეთ, ვიმღერეთ, ვიკამათეთ; უკეთესი დროის გატარება განა შეიძლებაო?“ ამბობდა.

მალე გამოვეთხოვე სამუდამოდ ხსენებულ დაბასს და მის „ჩინოვნიკებს“. სამწუხაროდ ყველა ვერ გავიცანი. მაგიერად საქართველოში კიდევ უფრო გამოვცადე და უკეთ შევისწავლე ჩინოვნიკების ცხოვრება.

ექიმი.

ადამიანის შობიდან თანდაყოლილი აქვს ყველა ის, რაც მის სულის სიმღერას შეადგენს. ჰამლეტი, ეს აჯანყებული სული, მხოლოდ ხორციელად კვდება, მისი სული კი მთელ სამყაროს პირზეო დაჰქრის, ყველგან შეაქვს აჯანყება და საღამო ჟამის ზარის ხმასავით მიძინებულ სამყაროს ყურთან გუგუნებს, მცონარა არსებათ ძილს უფროთხობს...

ისიც ესეთი იყო.. დაბადებიდანვე არ იცოდა, რა იყო მშვიდობა, მოსვენება. ეს სიტყვები მის ყურს ეხამებოდა... სამშობლოდან განდევნილი იყო... აქ უცხო მხარეში გადმოკარგული ოთხ კედელს შუა ჰყავდათ გამომწყვდეული. იქ იტანჯვოდა ხორციელად, მისი სული კი არ ეტეოდა იქ.

გამოფრინდებოდა ხოლმე დარკინულ ფანჯრიდან, შესრიალდებოდა სეტყვა-ქუხილთა სამფლებელოში, ჩაყურყუმელავდებოდა ფიქრთა მორევში და იქიდან ქურდულად ავლებდა ხოლმე თვალს დაბლა ბრბოს მოქმედებას, იმ ბრბოსი, რომ მერძაც იგი სამშობლოდან განდევნა, რომელიც, თუ თავისუფლება აქვს, თვითნებობებითაა აღქურვილი. იცოდა რა, რომ ამ თვითნებობების მსხვერპლი იყო ისიც..

ხან კი მისი აჯანყებული სული, როცა მოსწყინდებოდა ხოლმე ფიქრთა მორევში ცურვა, დათოვლილ კავკასიონის ქედს ესტუმრება, ეამბორობა მის მიუკარებელ კალთებს. ამოუჯდება გვერდში და იქიდან დიდხანს ეტრფიალება თავის სამშობლოს გაშლილ ველებს, ნეტარ გრძნობებს უღვიძებს ეს ველები და აი ეს ნეტარი გრძნობები, მშობლის რძესთან შედედებულნი, ასაზრდოვებენ მის სულს, ეს ნეტარი გრძნობა ასულდგმულებს მის ტანჯულ სხეულს... სამშობლოს ცელქი ნიავი კავკასიონის ქედზედ უკვე ქარიშხლად ქცეული, უმღერდა მის მოუსვენარ სულს ტკბილ ჰანგებს მშობლის სიმღერისას, დაკარგულ შვილზედ ნამღერებს...

ასე ატარებს თავის დღეებს განდევნილი: ხორციელად იტანჯება, ხოლო მისი აჯანყებული სული კი წინ მიდის! არვის ძაღუძს შეაყენოს მისი წინ-მსვლელობა!..

ვ. თამროშვილი.





ეროვნული გმირები

ქართული ხელოვნების ეროვნული გიგანტები




**ახმედ არაბი-ფაშა.** ცნობილი მამულიშვილი ლმობილი ეროვნული თავისუფლებისათვის ახმედ-არაბი-ფაშა ეგვიპტელია, პატარაობიდანვე ჯარისკაცად შევიდა ჯარში და როგორც ბუნებით ნიჭიერი და ჰკვიანი მალე დაწინაურდა და აფიცრობა მიიღო. მერე შეუდგა თვით განვითარებას, შეიწავლა სამხედრო ხელოვნება ქაირის სამხედრო სკოლაში და მალე მის გარშემო შემოკრბენ ყველა ისინი, რომელთაც გული შესტიოდით მამულის კეთილ-დღეობისათვის. იგი ჯერ წინააღუდგა ოსმალეთის მთავრობას, რომელიც მფლობელობდა ეგვიპტეს და მერე ინგლისის მთავრობას, რომელიც ვითომდა კონტროლს უწევდა ოსმალეთს და ფაქტიურად კი — თვით განაგებდა ეგვიპტეს ბედ-იღბალს. 1879 წელს, რუს-ოსმალს ომის შემდეგ ეგვიპტეს მთავარმა თვე თე-ფაშამ ახმედ არაბი ფაშას პოლიტიკის ხარისხი უბოძა და სამხედრო მინისტრად დააყენა. მალე არაბი ფაშამ ისე წაიყვანა საქმე რომ ჯარიც და ხალხიც ასაჯანყებლად მოამზადა და ინგლისის ბატონობას წინაღუდგა. ამ რიგად ატყდა აჯანყება და ინგლისის მთავრობამ 1882 წელს 11 ივლისს ყუმბარები დაუშინა ქალ. ალექსანდრიას და კიდევ ხელთ იგდო ეს უდიდესი ქალაქი ეგვიპტისა. არაბი-ფაშა ქვემო ეგვიპტეს დაიხია, აქ შეკრიბა დიდ ძალი ჯარი, რომლითაც გზა შეუკრა ინგლისის იერიშს ალექსანდრიიდან, მაგრამ ამავე დროს ინგლისის მეზღვაურებმა თავიანთის გემებით ხელთ იგდეს სუეცის არხი და აქედან ალყა შემოარტყეს ქალაქს. 13 სექტემბერს ახმედ არაბი-ფაშა დამარცხდა ტელელკებირთან და მეორე დღეს იგი თვით დანებდა გამარჯვებულ ინგლისელებს, რომლებმა სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს ეროვნულ თავისუფლების მაძიებელს, მაგრამ მერე სიკვდილი სამუდამო გაძევებით შეუცვალეს და არაბი-ფაშა გაგზავნეს საცხოვრებლად კუნძულ ცვილონიში და პენსიაც კი დაუნიშნეს.

მას შემდეგ გავიდა ოცდა-ხუთი წელიწადი და ეგვიპტეს დღეს ფაქტიურად ინგლისი პატრონობს და ბატონობს...

**დავით აკოფაშვილი** ახალგაზდა მომღერალი (ბარიტონი) ქუთათური ქართველი კათოლიკეა. დაიბადა 1886 წ. 12 მარტს. 9 წლისა მიიბარეს ქუთაისის გიმნაზიაში, სადაც 1904 წ. დაასრულა სწავლა. ამავე წელს მიღებულ იქმნა პეტერბ. უნივერსიტეტში. მუსიკალურ სწავლას იღებდა პეტერბურდის კონსერვატორიის ცნობილ პროფესორთან ქ. ჯირალდონისთან (დღეა განთქმულ ბარიტონის ჯირალდონისა) ჯირალდონის შემდეგ 1906 წ. გაემგზავრა ქ. მილანში, სადაც შესანიშნავ და ევროპაში განთქმულ მომღერლის კაზიონის ხელმძღვანელობით მეცადინობდა. 1907 წ. კაზინისთან გაკვედილების დამთავრების შემდეგ დ. აკოფაშვილი მიიწვიეს ქ. პალერმოში „Theatro de Citta“ (ოპერა) რადგან დ. აკოფაშვილს აზრად ჰქონდა უნივერსიტეტის დამთავრებაც, ამისათვის ოპერის დირექციას უარი შეუთვალა და ისევ პეტერბურგში გადმოვიდა. არა ერთხელ მიუღია მონაწილეობა როგორც რუსეთში, ისე იტალიაში სერიალულ კონცერტებში მსმენელნი და კრიტიკოსები დიდის ქებით იხსენიებდნენ ახალგაზდა მომღერლის ხმას და მუსიკალობას. დ. აკოფაშვილს მართლაც სასიამოვნო, წმინდა, სავსე და სრული ხმა აქვს, რასაც ხელს უწყობს და შესაფერს შნოს აძლავს ჩინებული სკოლა სიმღერის ხელოვნებისა.

ამჟამად დ. აკოფაშვილი და ახალგაზდა ვილონჩელი-სტილი. აბაშიძე საკონცერტად მოგზაურობენ საქართველოში.

უეჭველია დ. აკოფაშვილი პირველ ადგილს დაიჭერს ჩვენს ნორჩ მუსიკალურ ხელოვნებაში და დიდს ამაგსაც გაუწევს მას, თუ ზოგიერთი ზეგარდმო-ნიჭით ცნებულ პირებისავით ცხოვრების ფუფუნებამ არ წასძლია და არ „უღალატა“ პატარა საქართველოს „პატარა საქმეებს“, რომლის ქირის უფლობა დიდ სულიერს და ზნეობრივ ძალას მოითხოვს ჯერ ხანად მაინც ყოველის მოღვაწისაგან.







ეროვნული  
ბიბლიოთეკა

ქართველი საზოგადო მოღვაწენი



სამსონ თოფურია

(გარდაცვალებიდან ოთხი წლის გამო + 28 ივნისი 1904 წ.)

დავიწყებული საფლავი.

ქუთათურები, რასაკვირველია, მიმხდარი არიან, ვის საფლავზედაც ვაპირებთ ლაპარაკს... მიმხედარ არიან და ამ საფლავის მოგონებაზე, უთუოდ, ჩემზე ნაკლებ არა გრძობენ მწარე სევდასთან ერთად საშინელს სირცხვილსაც. რა საჭიროა ამ ძვირფას საფლავის გახსენებაზე მოვეყვ იერემიასებურ გოდებას და, ჩვენებურ ჩვეულებისამებრ, მეც ცხარე ცრემლები ვაფრქვიო საზოგადოდ ქართველ კაცის დაკნინების და ყოველწინადად გათხსირებისა გამო! ან ვის ვუსაყვედურო, ვის რა ვუკიეინო? ყველანი მტყუანი ვართ და თანაც მართალი... ვინუგეშოთ თავი მით, რომ „უამთა სიავემ“ და ჩვენგან და მოუკიდებელმა მიზეზებმა წარმოშობა ჩვენი ცხოვრების და თვით ჩვენი გონებრივი და ზნეობრივი უბადრუკობა...

ხალღო ერთ-ერთ ნიშნად ჩვენი გონებრივი და ზნეობრივი უბადრუკობისა უნდა ჩაითვალოს სიცოცხლეშივე ათვალწუნება ჩვენგან ჩვენი ქვეყნის მოამაგეთა და სიკვდილის შემდეგ მათი ხსოვნის და საფლავის შეურაცხყოფა, ან უკეთეს შემთხვევაში, დავიწყება.

განა დასავიწყებელი იყო სამსონ თოფურიას საფლავი? ეს საფლავი მარტო ქუთათურებისათვის კი არა, მთელის იმერეთის, გურიისა და სამეგრელოსათვის, მთელის ქართველობისათვის მარად სათაყვანო უნდა ყოფილიყო მას უნდა ამკობდეს დიდებულ მოქალაქის ღვაწლის შესაფერი ძეგლი სამაგალითო წარწერით.



ი. ნიკოლაძეს ქანდაკება (აკაკის ბიუსტი).

ტყვილად კი არ იციან კულტურულს ქვეყნებში საზოგადო მოღვაწეების დიდება და პატივისცემა. იქ მოღვაწეებს სიცოცხლეში მოწიწებით თაყვანსა სცემენ და სიკვდილის შემდეგ პანთეონში მიუჩენენ საუკუნოდ განსასვენებელს ადგილს. ამას შერებიან არა მარტო მკვდართა პატივსაცემად, უფრო ცოცხალთა საქვეყნო მოღვაწეობისთვის წასაქებლად.

ჩვენს პატარა ქვეყანაში, ჩვენი ქუთაისის პანთეონში „უკვდავთა“ შორის თუ ვისმე ეკუთვნოდა, ყველაზე უფრო სამსონ თოფურიას ეკუთვნოდა უპირველესი ადგილი. არამც თუ ძვირფასი ძეგლი, თოფურიას საფლავზე დღეს უბრალო ქვაც არა დევს, ერთი ქრისტიანული ჯვარიც არ არის იქ დასობილი. კიდევ ცოტა ხანი და ამ დიდებულ კაცის საფლავის მიგნებაც გჭირდება...

მერე რად გაჭკრა, რად დაიშრიტა ასე მალე ის სამაგალითო აღფრთოვანება, რომელიც ჩვენმა ხალხმა თოფურიას განსვენების დღეს გამოიჩინა? მაშ რის მომასწავებელი იყო იმოდენა ხალხი საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან ქუთაისში შეკრებილი? რის მომასწავებელი იყო იმოდენა ცრემლი, იმოდენა ძვირფასი გვირგვინები, იმდენი ლამაზი, გრძობიერი სიტყვები?

ჩვენი ხრიაკი ნიადაგი, ჩვენი „სულით ურწმუნო, გულით უნდო“ საზოგადოება განა შექმნის დიდებულები კაცის დამბადებელს პირობებს? არ მინდოდა, მაგრამ იძულებული



ვარ გავიმეორო ასჯერ და ათასჯერ სხვებისგან ნათქვამი: სასირცხვოდ დავეკინდით, სამარცხვინოდ შევაკვეცეთ ფრთები ადამიანის მაცოცხლებელს იდეალებს და მივცემივართ უახრო, უმიზნო ცხოვრებას. ორიოდ კაცს კიდევ შერჩენია ჩვენში დვითური ნაპერწკალი, მაგრამ მაგ საცოდავებსაც, ჰამლეტის თქმისა არ იყოს, „უღონოდ ჰქმნის მათივე ცნობიერება“.

სამსონ თოფურია კი ამ ცნობიერებამ უმალეს მწვერვალამდის აიყვანა და შემოსა მისი სახელი დიდბუნებოვან კაცის შარავანდდით. ვნაც სცნობდა დახლოვებით სამსონს, ვიაც აუწონ-დაუწონია და გაუთვალისწინებია მისი ღვაწლი ჩვენი ხალხის წინაშე. ვისაც უგრძნებია მისი დიდი ზნეობრივი ძალის ზეგავლენა, იმას გადამეტებულად არ უნდა მოეჩვენოს ჩემგან წარმოდგენილი დახასიათება, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ს. თოფურიას შუბლს ნათლად აჩნდა ბეჭედი ქვეყნის სასარგებლოდ დაბადებულის რჩეულ კაცისა, ნათლად ამშვენებდნენ მას ყველა გნსხვავებული დამახასიათებელი ნიშნები დიდბუნებოვანებისა: კლდესაებ მაგარი, მტკიცე ხასიათი, დაუღალავი მოქმედებითი ძალა, ზრწყინვალე შემოქმედობითი ნიჭი, ზღვასავით უმალესის სიყვარულით მღვდლვარე გული და მრავალგვარ ცოდნით განვითარებული გონება. მხოლოდ ამ ღირსებით აღჭურვილს კაცს შეეძლო შექმნა ის დიადი საქმე, რომელიც შექმნა ჩვენში თოფურიამ.

მხოლოდ პირადის ღირსებების წყალობით ს. თოფურიამ არარაისგან შექმნა ის თვალსაჩინო, ფასდაუდებელი დაწესებულება, რომელმაც სული მოუბრუნა ჩვენს ხალხს, დაიხსნა იგი ათასწარ კირისა და ფათერაკისაგან, ყველას კარგად გვახსოვს, თუ რა უნუგეშო მღვდმარეობაში იყო სამსონამდე სამკურნალო საქმე ქუთაისის გუბერნიაში. უმცირება და ხელმოკლეობა ხელს უწყობდა ათასგვარ ავადმყოფობას და ვინ იცის როგორ იყლიტებოდა საბრალო ხალხი...

მოვიდა მადლიანი სამსონი, მაგრამ ის ნივთიერად თითონ ერთობ ღარიბი იყო და მისგან განზრახულს საქვეყნო საქმეს კი დიდი ფული სჭირდებოდა. სხვა ქართველი რომ ყოფილიყო ამ დაბრკოლების წინაშე ხელები ჩამოუვარდებოდა და მიეცემოდა უსარგებლო განწირულებას; სამსონი კი, რადგან უღრმესი რწმენით და ქვეყნსადმი სიყვარულით იყო განმსჭვალული, ამ დაბრკოლებას მედგრად შეხვდა, თვით ეს დაბრკოლება უძლური შეიქმნა წინაშე იმ დიადის ზნეობრივის ძალისა, რომელსაც წარმოადგენდა თოფურია მთელის თავის არსებით.

ჩვენს ურწმუნო, უიდეალო დროში სამსონისებურ ღვაწლს, მისებურ ქვეყნისთვის თავდადებას ქვემარტივად სასწაული უნდა ვუწოდოთ, სხვებსავით ვიწრო მსოფლმხედველობის და მცირე ზნეობის კაცი რომ ყოფილიყო სამსონი, ისიც ანგარებას გაიხდიდა კერპად და, რასაკვირველია, მისი ცოდნის და ნიჭის პატრონი პირადს ცხოვრებას მშვენივრად მოიწყობდა. იქნება, მაშინ, რა კი ზედმეტის შრომით ჯანს არ გაიტეხდა, უფრო ხანგრძლივ ეცოცხლა. მაგრამ განა სამსონს შეეძლო ეცხოვრა მარტო თავისთვის, როდესაც განგებამ მას არგუნა რჩეულთა ზედარი და ჩააყენა ქვეყნისთვის საკეთილდღეოდ მებრძოლთა რაზმში!

ამისთანა კაცის საფლავი დღეს მივიწყებულია და გაცილებით უარესად მოვლილია, ვინემ საფლავი ამ ქვეყნისთვის ურგებ კაცებისა, რომელნიც თოფურიას გვერდით განისვენებენ...

ესლა რა ღონისძიებას უნდა მივმართოთ, რომ სირცხვილიდან გამოვიდეთ და ძვირფასი საფლავი მარტოდასაწყენი არ გავვიზნდეს? განა არ ვიცი ჩვენე მხარეცდო მხარეც სრობა, ჩვენი ნივთიერი სიბეჭავე? ვიცი და კიდევ მისთვის ვერ ვახერხებ იმ საყვედურს სახსებით გამოთქმას, რომლის ღირსნიც ვართ.

ქუთაისის ქალაქის მმართველობამ ითავა და თავის ხარჯით გაასვენა თოფურია, როგორც წარჩინებული მოქალაქე, როგორც ქვეყნისთვის სასარგებლო მოღვაწე. ამ სამოქალაქო გასვენების მოწყობით დიდად ისახელა თავი ქუთაისის ქალაქის მმართველობამ და დაამტკიცა, რომ ის უდიდეს მოქალაქობრივ მოვალეობათა შეგნებამდის უკვე აღმაღლებულა.


რადგან სხვა პატრონ-პიროსუფალი არა ხანს,—მეტი გზა არ არის,—დღესაც ქუთაისის ქალაქის მმართველობამ უნდა იკისროს თოფურიას საფლავის მოვლის საქმე, მან უნდა ითავოს საფლავის ძეგლისთვის ფულის შეკრება. მხოლოდ ითავოს, რადგან, ვიცი, ქალაქის მმართველობა დღეს თითონ დიდს ფინანსიურს კრიზისს განიცდის და არ შეუძლია თავის ხარჯით თოფურიას საფლავზე ძეგლი დადგას. მაინცა და მაინც ძვირფას ძეგლს ნურც ჩვენ ვეძებთ დავკმაყოფილდეთ იაფფსიანიით, ურალოთი, სულ არაობას კიდევ იაფფსიანი სჯობია. არავინ გვიძრახავს, რადგან იციან ჩვენი უზომო სიღატაკე...

რა გზით უნდა შეკრიბოს ქალაქის მმართველობამ ფული? გზა ბევრგვარია, მაგრამ აირჩიოს თუნდა ჩვეულებრივი ქუთაისშიაც კარგად ცნობილი გზა: გამართოს თუნდა საღამო ადგილობრივ ძალთა დახმარებით; მისცეს ამ საღამოს, თუ ეხლანდელ დროისთვის ნაციონალური სათაკილოა, საზოგადოებრივი ხასიათი, და შეტვევლად ჩვენი საზოგადოება განურჩევლად კლასისა და პოლიტიკურ რწმენისა სრულის თანაგრძნობით მიეგებება საღამოს. ამ საღამოდან შექმოსულს ფულს რომ მიეუმატოთ ის ფული, რომელიც გვირგვინების განაღდებით შემოგვივა, უთუოდ შედგება ერთი რიგიანი ძეგლისთვის საკმარისი თანხა. თოფურიას კუბოს მრავალი გვირგვინები ამკობდა და ამ გვირგვინებში ძვირფასებიც ვრია. რამდენადაც ვიცი, ის გვირგვინები ქუთაისის ქალაქის მმართველობამ ჩაიბარა თოფურიას დამარხვის შემდეგ იმ აზრით, რომ მათში აღებული ფული თოფურიას საფლავის საჭიროებისათვის მოეხმარებინა.


ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ქამად თბილისში იმყოფება ჩვენი ახალგაზდა ნიჭიერი მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძე, რომელიც უეჭველია ყველაგვარ დახმარებას გაუწევს ვამგვობას და მუქთად იკისრებს ძეგლის პროექტის და ხარჯთაღრიცხვის შედგენას მოდელსაც გააკეთებს.

თუ ქუთაისის ქალაქის მმართველობა იკისრებს ამ ჩემგან გამოთქმულ აზრის განხორციელებას, უნდა შეუდგეს საქმეს ესლავე. სანამ დიდებულ მოქალაქის საფლავი საძებრად არ გახდომია.

ილ. პონტელი.







# შთაბეჭდილებანი

## VIII

### შავო ყორანო!

ძირითადი კანონი კაცთა შორის განწყობილებისა კახლავთ ყოველს ადამიანზე კარგის აზრის იყოთ, სანამ უტყუარს, ნამდვილს წინააღმდეგის დამამტკიცებელ საბუთს არ ჩაიგდებთ ხელში; რაც უნდა დამნაშავე იყოს წარსულში ადამიანი, მანაც არ გაქვთ უფლება დაიჯეროთ, რომ მან არა ადამიანურათ მოქცა ეხლა, ამ შემთხვევაში. ყოველთვის, ყოველ ცალკე შემთხვევაში უნდა გამოვიდეთ კაცნილი და მხოლოდ შერეუ კამოთქვით თქვენი აზრი გატანილზე.

შეცდეს მისი მისივე დეპუტატისადმი გატანული დეპუტატის შესახებ, და თქვენი გაკვირება—გაკვირებაა უთიკანის, რომელსაც ვერ გაუგია, რათ მიდის ეგრეთველი სასამართლოში, რათ მიმართავს ეგრეთველი მწერლობას სეკუნდანტებს, როცა ზიარება შეუბღვალს ან უფლებას შეუახსნეს.

თქვე არ იყო ქვა, შიტი—რღა სხვას მიმართავ, თქვერას გელური!

უკაცრავთ, ღანძღვა მე ჩვეულებათ არ მატქეს; მე მხოლოდ იმას ვამბობ რაც ნამდვილია, საგანს თავის სახელს უწოდებ, მაგრამ ვერც წინა წერილებში, იმედი მატქეს ვერც შემდეგობაც, ვერ ხახვთ ღანძღვას ე. ი. სურვილს შეურაცხყოფა მივაყენებ, ვაწუენინებ ვისმე. თქვენ თქვერასთ გეგეტქორს კასაღანძღვათ მიგწვდი ბეტერ-ბურტში და გულ-უბრევილათ ბეითხავთ „წერილობითი საბუთი გაქვთ თუ სიტუვიერი“, რომ დეპუტატისაგან არაფერი ხეირი გამოვა ამ საკითხშიც.

წერილობითი, ბ. მიმინო, წერილობითი უტყუარნი და ნამდვილი საბუთი. ამ საბუთს ქვია „სტენოგრაფიულა ანგარიშება სახელმწიფო სათათბიროსი“. რომელი სათათბიროც გნებავთ (ზირველი, მეორე, მესამე) ის აიღეთ—ჩემთვის სულ ერთია. ჩვენი ქართული ს. -დ. დეპუტატები სდუმდენ ისეთ კითხვებზე, როგორიც აქის ქართულ ენაზე სასამართლოს და სწავლის მოწყობა, სტირება ჯარის კაცთა სამშობლოშივე დატოვებისა, რადგან ჩრდილოეთის ჭავას ვერ იტანს ჩვენი ხალხი და შეუბრადლებათ კვდება. რომელმა დეპუტატმა დასძრა ხმა, რომ საქართველოს შემოსავალი საქართველოსვე მკვიდრთ მოხმარდეს?... .

თქვენ ბრძანებთ, ვითომც მე ერთი საბუთი მომეუყვანოს იმის დასამტკიცებლად, რომ დეპუტატისადმი გატანული დეპუტატისაგან არაფერი ხეირი გამოვა.

სტრუბობთ ან და არ იცით კითხვა—გოგოლის ბეტრუშვასავით ცალკე ასაკებსა და სიტუებებს კითხულობთ და არა აზრს.

მე ხუთი მოსახრება მიმუავს:

- 1) თითონ დეპუტატი არ შეიწუხებს ამ საქმისთვის თავს.
- 2) თუნდაც დეპუტატმა მოინდომოს სახელმწიფო სათათბირო არ მიატყვეს უურადლებას.
- 3) სათათბირომ კიდევ რომ გულმოდგინეთ მოკიდოს ხელი საქმეს, დამტკიცდება მხოლოდ მოხელეთა დაუდევრობა.
- 4) თუნდაც მთავრობამ დასაჯოს ბ. ამილახვარი ჩვენთვის ამას არ ექნება მნიშვნელობა, რადგან მთავრობის მიერ დასჯილთ საზოგადოება მანაც კარგათ უყურებს.
- 5) ჩვენთვის საჭიროა ფართო საზოგადოებამ მიიღოს ამ საქმეში მონაწილეობა.

მაშ, მე დავმაღე საბუთები, თუ თქვენ ვერ გაიგეთ და განკებ დამწამეთ მსაკერული გულხახვეულობა? ასეთი ადვილი აზრის გაუგებრობას სიუფელე ქვია და ასე უბრადლათ ადამიანის გრძობათა შებღვალს—უსინიღისობა!

ხახვერათ უსინიღისობა  
 ხახვერად არის სულელი;  
 მაგრამ დიდი იმედია,  
 რომ იქნეს ერთხელა მრთელი.

ფრთა მოტეხილთ ბ. მიმინო, თქვენ გაკვირთ, როცა მე ვთხოვლობ ბ. ამილახვარი ჩვენვე გაგასამართლოთ მუთქა; რას საკვირველი აქ? არა თუ მრთელი ერი, ყოველი წრე, ყოველი ადამიანიც კი ცდილობს შინაური საქმეები ზირადი საქმეები თვითონვე მოაწეს-რიგოს. ჩვენ ქართველებს საუბედროთ არ გაატქეს იურიდიული დაწესებულება, რომელიც სასამართლოებს ქართველებსვე, მაგრამ საზოგადოებრივი აზრი ხომ დაგვჩნა და, საზოგადოებრივი აზრი საუკეთესო მოსამართლეა, რომ თქვენი სთანა უფავები (სად თქვენ და სად მიმინო?) არ დაგჩნხოლდენ თავზე. დეპუტატთა საკრებულოს ამ შემთხვევაში საუკეთესო სამსახური შეეძლო გაწვია, როგორც გამოძიების ინიციატორს, მაგრამ ავღანბრულმა თქვენმა მწერლობამ ბატვისცემამ დააკარგვინა საუბედროთ მწერლობისადმი ყოველ ქართველს და სხვათა შორის დეპუტატთა საკრებულოსაც. მწერლობის ხმა ხშირად დარჩება ხმად მღაღაღებლისა უდაბნოსა შანა, სანამ საზოგადოება დაუბრუნებდეს მწერლობას ძველს ბატვისცემას და ნდობას.

ყოველ შემთხვევაში სხვებთან ერთად მეც ვეღვლები ამ თუ იმ სახით ერს დაუბრუნდეს უფელა ფუნქციები... განსჯისა და გასამართლების კი უფელაზე წინ...

თქვენს ბარტიულ გაზეთს ვერ დავუჯერებ. ამში უკაცრავთ არ უნდა ვიყო, რადგან როგორ დაუჯერებთ ისეთს დასს, რომელსაც შეუძლია ისტორიული ფაქტებიც კი გამოგონოს (მოგონეთ ბ.ბ. აკაკის და გომართელის კამათი jus primae noctis—შესახებ), შეეძლო იღოს ჭავუჭავაძისთვის ჯამუში ეწოდებისა (იხილეთ ფ. მ. წერილ-



ლი „მოგზაურში“ 1905 წ.) და მე თვითონ „ქეშმარიტ-  
რუსების“ აზრთა მიმდევრებას მწამებს?!

გამოთხვევისას უნდა მოგასვენოთ ბ ურანო,  
რომ მესმის თქვენი სურვილი მიმიხეთ გახედოთ, მაგრამ,  
როცა განაჯარდება მოგინდეთ, მიიხედ-მოიხედეთ, თორემ  
ეგრე ტუჩებით და ალაღ-ბედზე მამოფრინავს რომ დაგი-  
ნახვენ, იტყვიან: მწეურები ბევრი უყვს, მიმიხეთ მინც არ  
ასოსო.

მე კა... მე ხასუხის გაცემაც კი დამეზარება.  
ნ. ლორთქიფანიძე.



### პეტარდები

(კვირიდან კვირამდე).

მეტად ჩამოცხა, კაი ნაწილი თბილისშიც ცხოვ-  
რებთა, ზოგი სააგარაკოდ და ზოგი სოფლებში  
გაიკრიბა; ცხოვრების მაჯა მიდუნდა და ისრე მედ-  
გრად აღარა სცემს და მით აიხსნება, რომ პეტარ-  
დების ფათქა-ფუთქმაც შედარებით იკლო და თუ  
კი სადმე ისმის, აღარც იმდენი ხალისია იმათ აღ-  
სანიშნავად, რადგანაც „ყოველმა ქირმა შეჩვევა  
იცის“... თბილისში რომ ამ ზაფხულში ძრიელ ჩამო-  
ცხებოდა, — მე ეს ჯერ ისევ ახალ გაზაფხულზედ ვი-  
ცოდი იმ უტყუარ ნიშნებიდან, რომ აქაურმა ქალე-  
ბმა აპრილის გასვლასაც კი არ დააცალეს და ნახევ-  
რად, წელამდე დატიტვლდნენ (ზოგი ამას „მო-  
დას“ ეძახის..) და თუ სიცხეებმა ესრე პროგრე-  
სიულად იმატა, ვფიქრობ, რომ ქალების სამოსელი-  
დან ცოტა რამდა დარჩება!.. მახლას! ტყუილად  
კი არა სთქვა დიდებულმა ლ. ტოლსტოიმ: „На-  
ши дамы не одѣваются, а раздѣваются“ -ო.

ახალი სსუქალება იარაღის დარსების გამოსაჩნებათ.  
სპარსეთის შაჰინ-შაჰის, რუსეთში ნასესხ ფულით,  
შეუძენია ახალი სისტემის ზარბაზნები და ღირსების  
გამოსაცნობათ, უბრძანებია ეს ზარბაზნები დეეშინათ  
სახელმწიფო სათათბირო — „ენჯუმენისთვის“. ტე-  
ჭერანიდან იწერებია, რომ მათი უდიდებულება  
უკმაყოფილო დარჩენილა აღნიშნულ ზარბაზნებით,  
ვიანიდგან ამ უკანასკნელთა ძალას მთლად ვერ  
ამოუხოცია „ხალხის წარმომადგენლები“ და იმათ-  
გან რამდენიმე კაცი კიდევ გადარჩენილა...

სახელმწიფო დუმიდან იტყობინებენ, რომ ლეი  
„გრანდიოზნი“ კიდაობის გამართვას ეწყობენ თურქ-  
მე დეპუტატები პურიშკევიჩი და გეგეკორი. ამ  
კიდაობას, სხვათა შორის დეესწრებიან ძმ. ნიკი-  
ტინები, ცილინდერი და სხვა ცირკების წარმომ-  
დგენელები:

მეორე ჩვენ დეპუტატს კიდევ, ბ. ჩხეიძეს,  
სათათბიროში შეუტანია წინადადება რუსეთში  
ხატების „შტატების“ შემოკლების შესახებ.

თბილისელ „ქეშმარიტ რუსთა“ უკაცრაული  
პისუხია გაზ. „გოლოს კავკაზის“ ხელმძღვანელთ  
დიდი პრემია და ლოცვა-კურთხევა დაუნიშნაფთ  
და ჩინ-ორდენებსაც კი დაჰპირებია (ეს უფლებაც  
ფაქტიურად ჩვენ ხელშია — იძახიან) იმ ქეშმარიტ  
რუს ინჟენერებისთვის, რომელნიც გამოიგონებენ  
იმ გვარ ავტომატიურ დიდ სახრჩობელას, რომელ-  
ზედაც შეიძლება დეს, ერთი დღის გამომავლობაში,  
მთელი ქართველი ერის ჩამოხრჩობა, რადგანაც „ეს  
ერიო მთლად ყაჩაღებისგან და „კრამოლნიკებისგან“  
შესდგებაო. ვინაიდან ეს სახრჩობელა უზარ-  
-მაზარ, საზღაპრო რამეს უნდა წარმოადგენდეს და  
მის განხორციელებას არა ნაკლები საზღაპრო ძა-  
ლაც დასჭირდება, — გვეფიქრება ამ საბრალო,  
ტვინით აფთმყოფ, კაცუნებმა ქაჭებიც არ ჩაიწყვი-  
ტონ, ან კრილოვის ბაყაყის დღე არ დაადგეთ..

„ცის ნაში“, რომელიც გასულ კვირას თბილისს  
უხვად და საგრძნობელად მოველინა, უკვე ყველგან  
ააზრეს ხელოვნურად და ქუჩებმა უმაღ ჩვეულე-  
ბრივი გამოფიტული სახე მიიღო...

„ჩვენი ჟინის“ („Наша жизнь“) და „ფულე-  
ბის“ ლისტ... უკაცრავად, „თბილისის ლისტოკის“  
რედაქციები ბევრს პრინციპიალურ კითხვებში  
შეთანხმებულან და დღეის იქით მხოლოდ „ლისტო-  
კილა“ გამოვა, ხაჩატუროვ-სპერანძა-ყარბის მეთა-  
ურობით და იქმნება „ძაღის პრეგრესიულ“ მიმარ-  
თულებისაო. აი, „ლისტოკის“ პროგრესისტობის  
მადლი კი გამიწყრეს!...

„სამუქრანაფო ფურცელის“ რედაქტორები, გამომ-  
ცემლები და თანამშრომლები, რომელნიც ერთ-  
არსება ვ. ლამბაშიძეში გამოიხატება, ცრემლებს  
სააგარაკოთ დაუბატოფათ. ამ გვარი სიშორისა და  
ქეიფის გამო, აღარ ეღირსა გამოსვლა მეორე ნო-  
მერს, რომელსაც, შემოდგომაზედ დაბრუნებისას,  
თან ჩამოიტანს ბ. ლამბაშიძე და მანამდე კი აღნი-  
შნულ ფურცლის რედაქცია სთხოვს ყველა მკით-



ხველს უქეიფოთ არავინ გახდეთო, პირველად გვესმის ექიმის გულშემატკივრობა!

როგორც შევიტყუეთ, ახლო მომავალში, ბ. ყარბიზი „ოკანჩატელნი“ დამარხავს ახალ-გაზრდა ლექტორს ბ. გრ. რობაქიძეს და ამიტომ უკვე შესდგომია უკანასკნელის ნივთებ-ავეჯულობის „რას-პროდაჟას“ მეტად დაკლებულ ფასებში. ბ. რობაქიძის „კოლოპურტის“ შექმნის მსურველთ უნდა მიმართონ თვით „დუშეპრიკასჩიკს“ ბ. ყარბიზს, ან ხაჩატუროვის „ლისტოკის“ თანამშრომელს ბ. \*.-ს.

თბილისის ქართველ ბურჟუა-ინტელიგენტებმა ბოიკოტი გამოუცხადეს საგასტროლოდ ჩამოსულ, ნიკიერ—არტისტს ბ. ვლ. მესხიშვილს იმ ქვეშარით მოსაზრებით, რომ „რას ვაქნევთ აზრიან-დამაფიქრებელ (ქმუნვის მომგვრელ) პიესას და მისს ხელოვნურ, გამტაცულ თამაშსო, და წინააღმდეგ მიუციათ მესხიშვილისთვის: „თუ გინდა შენ წარმოდგენებზედ ჩვენც ვიარაოთ, მეორე ჯერ მოიყვა ან ფარსიო, ან დადგი იმისთანა „პიესები“, როგორიც არის მაგ. „Есть, что у насъ представить? Подъ звуки Шопена“ და სხ. რომ ჩვენც ვისიამოვნოთ, ნოყიერ სადილის მონელებასაც ხელი შეუწყოს და შენც ფულები ჩაიხზარუნოო“... ჰაი-ჰაი, რომ მართალი ბრძანებაა: კაცის სიცოცხლე უმისოდაც ხან-მოკლეა და კაცი უნდა სკდილობდეს იმხიარულოს და რაც შეიძლება მეტი გამოარჩეს ცხოვრებას; ტყუილად კი არ უთქვამს, ჩვენს შოთას: „რასაცა შესჯამ შენია, რაც არა—დაკარგულია-ო“...

ბ. რობაქიძის ლექციაზედ ერთი ს.-დ. იქვე ეულად შეფიქრიანდა მარქსის ზოგიერთ „უტყუარ“ დოკუმენტის შესახებ და თავისი აზრი ამხანაგს გაუზიარა.

— შე, დურაკო, — უბასუხა გაჯავრებით ამხანაგმა, — რასაც ეგ ყბედობს მართალი კი არ გეგონოს: აი პეტრეს ჰკითხე, მაგას ლაპარაკი უყვარს და ვარჯიშობს; თურმე სხვის ნაწერები აქვს გაზეპირებული და ნამდვილ მეცნიერების ინჩიკ არ გეეგება!...

როგორ მოგწონს, მკითხველო, ესრეთი ქვეშევრდომული, ბრმა, უკრიტიკო რწმენა ბოზოლას ნათქვამისა და რომელი ბლალღინი არ შენატროდა ესრეთ მორჩილ პრიროდის ყოლას!...

ვინ იცის მკითხველო, არც კი ყოფილხარ

თბილისში ახლად გასხნილ ჯადის წყლის ქარხანაში? თუ არ ყოფილხარ, ბევრი რამ დაგიკარგავს! ეს თავისებურ კლუბივით რამ დაწესებულებაა, რა „ფასონის“ კაცი გინდა, რომ აქ არ შეგხვდეს, თვით ქვეშარით რუსთა წევრთაც კი, რომლებმაც ამ ქარხანას „ავტოკეფალური გაწესებულება“ დაარქვეს.

პირველად რომ გაიხსნა, ეზოს კედლებზედ, სადაც ქარხანა მოთავსებულია, დიდრონ ასოებით იყო გამოცხადებული—„ნაყვილიო“ (თუ „ნაყვილიო“). ბევრი წამკოხველი ისრე ხსნიდა, ვითომც ამ სიტყვის ავტორს უნდოდა გამოეხატა ერთ სიტყვაში ჩვენი დროის რუსეთის ცხოვრება, ვითომ იყვილა და უკეთესი პოლიტიკური პირობები დამყარდაო. მაგრამ ბევრ მკითხველს თავის საკუთარ ზურგზედ და კისერზე გამოუცდია, რომ ეს სიტყვა არ ეგუება არსებულ პირობებს; ესევე ეტყობა აგრძობინეს ქარხნის გამგეთაც და უკანასკნელთ ზემოაღნიშნულ სიტყვას უკვე ჩამოაცილეს რამდენიმე ასო და ახლა დარჩა სიტყვა — „ნაყინი“, რაიც უფრო ზედმიწევნით გამოხატავს რუსეთის ქვეშემდომთა თანამედროვე ყოფას. ზოგი კიდევ ეხლაც ამტკიცებს, რომ ლაღიე და კომ. ქარხანას, კაპიტალის შექმნის გარდა, ქალწულობის შერჩენითაც მოწადინებულია და მოუსურვებია ამ სიტყვით ქართული ენის გამდიდრება და „ნაყინი“ უხმარია რუსული სიტყვის—„მოროჟენოეს“ მაგიერ...

გ. ა—ციხელი.

\* \*

უცნაურად გარდირია ჩვენი კარლო დეპუტატი, როცა ფული მოითხოვეს, რომ ეწერათ ბლომათ ხატი. რუსებს ხატის მეტი რა აქვთ მომქმედი სასწაულისო... ხატს რათ უნდა ჩვეგან ფული, თავის თავს თვით მოუვლისო, ამაზედ მან აუტეხა დუმას სჯა და ლაპარაკი... ამისთვის შეაწირვინეს თუთხმეტის დღის მას ზვარკი: აი, ამას უწოდებენ ტაქტიკას და თვალთა ხედვას, თითქოს ამის უდიდესი იმათ საქმე წინ არ ედვას!? ეს გონიათ დიდი ჭირის აცლებდა, დანგრევდა... ბეჩავი ცხენს რომ ვერ მიწვდა, ანჩახს დაუწყა მტვრევია!...

თამა პუხა



# ჰროგინცია

—;—

**ქუთაისი.** საკვირველი ზეისა

გასაოცარი ამბავი შევიტყე დღეს: ერთი ვილაც თერძი თუ „პორტნოი“ „ზაკროიშჩიკი“ თუ რაცხა პიესასა სწერს, რომელსაც სახელათ „შური-ანობა“ ერქმევა. ავტორი ფიქრობს თურმე: რაკი ქუთაისის არტისტები ამ პიესას ვერ შეასრულებენ პირველად თფილისში უნდა დაიდგას, იქაც თუ ვერ მოხერხდა, ხონში დადგამს, თუ ხონშიაც არა ქვიტირში და ბანოჯაში გადაიტანს, თუ აქაც გაწყრა ღმერთი, მაშინ ავტორს განზრახვა აქვს ისევ ქუთაის მომართოს, მხოლოდ სცენას ააშენებთ ფრანგების ქუჩაზე. ამ წარმოდგენას ინტელიგენტი ვერ დაესწრება, მხოლოდ დაესწრებიან ისინი, ვისაც ოდესმე ამ ავტორისათვის ბეჭდები დაუგირავებია აკრეთვე დაესწრებიან მთელი ქუთაისის „პარტინები“, უსაქმოთ მოსიარულენი და ვინც ბევრი ჭორი იცის, რადგან პიესა, თურმე, ჭორით არის სავსე. ამისთვის ავტორი სთხოვს ყველა მეჭორეებს საჩქაროთ მოაწოდონ ლამაზთ შეზავებული ჭორები შემდეგის ადრესით: ფრანგების ქუჩა, მეორე საათულში ან ბულვარის პირდაპირ ერთერთ მაღაზიაში, გვარი ბეჟანს ჰკითხეთ.

**თეატრის რემონტი.**

დანამდვილებით შევიტყვეთ, რომ ქუთაისის თეატრის კომისია მალე შეუდგება თეატრის „რემონტს“. კომისია ფიქრობს გარედამ გაათეთროს, შიგნით დაავევეინოს, ფეხები გარჯთ გაატანინოს, რადგან შეშა ბევრი სჭირდება და ამით „უპრავას“ შამოსავალი აკლდება. ერთ ერთ წევრი კომისიისა მალე წარადგენს „ღუმაში“ „დოკლადს“, რომლითაც ურჩევს: თეატრი მაღაზიებათ გადაკეთდესო.

**შესაფერი ჯილდო.**

ახლად დაარსებულ „ფრინველების მომშენებელ საზოგადოებას“ გადაუწყვეტია: ყოველ საპატიო წევრს ვინც 10 მან. გადაიხდის, მიეცეთ თითო მამალი, ვინც 5 მ. თითო დედალი, ვინც „სორენოვატელი“ წევრია ხმა არა აქვს და მიიღებს მხოლოდ კვერცხებს.

**ყვირილა აქეთური-იქითური.**

ბევრი რამ თქმულა ჩვენ მრავალ ტანჯულ ყვირილაზე, ბევრსაც აწი იტყვიან, მე მხოლოდ ცრუა რამ მინდა ვსთქვა „სანიშადუროდ“

დაარსდა კლუბი, საწყალი კლუბი, ყვირილი, ჩხუბია ბოთლების ტრიალი, ორმოს ტრიალი: რა არ გამოიარა, ამ მაძღართა დასასვენმა ადგილმა... აქ ბევრი სადილები და ვახშმები გამართულა, ბევრი სიტყვებიც დახარჯულა!

მაგალითად მახარაძის სადილზე .. დედა, დედა, რა ქების ხოტბა შესხმა, რა ლაქუცი იყო ერთი მეორის ..

დიდი რეორგანიზაციაა ჩვენში.. მოისპო ხსენება დიდებულ „სოგრატასი“, გადაყვანეს ალიოშაც, მას მიყვა ექიმიც, გადაყენეს მაზრის უფროსიც, ეს უკანასკნელი როგორც ამბობენ. „ლაშის“ საქმის გულისათვისაო.. რისთვის იჯექი იმ მატარებელშიო, და თუ იჯექი, რატომ ხარ ცოცხალიო! მოდი ახლა შენ და... ახირებულია ღმერთმანი!

ეს არ ვიცი და ის კია ახირებული, რომ ფარნები, რა ფულა დაუჯდა ბაზარს და კვირაში ერთ ჯერ ინთება და ისიც მთვარიან ღამეში,

ფრანია არაფერია! ანათებს „ბორისი“ მხოლოდ ბანკს რა ეშველება არ ვიცი, „თვით არ იყო ძმარიო, შიგ ჩასულა წყალიო“, ეხლა შენ მიხვდი რა მომხდარა იქ..

ბანკს „იმერეთის“ კანტორამ აჯობა, დალია სული როგორც იყო...

ჩვენ პატარა სცენაც გვაქვს, დამწვარის შვილის შვილია, დრო გამოშვებით ჭიათურის დასი თამაშობს. ერთს დღეს იმ დალოცვილებმა, კინალამ გადასწვეს, წვექკათ ლამფა და გაუჩლა ცეცხლი ოთახს, ეს ის ოთახია დილით, რომ ცნობილ მახარაძეს სადილი გაუპართეს, გამოწვა არ უნდო და თუ!

სადგური კარგია, ნამდვილი სიწმინდე-სიაფე, შვიდ კაპეიკიანი მარკა მესამე კლასის ბუფეტში, ორი შაური ღირს.. ნომრები დიდებულია, მანეთ ნახევრიანი ოთახში ვერ დეიძინებ, ზურნის ჭყიპინის გამო, მერე დაგჭამს ბაღლინჯო, ბოლოს ყელს დაგწვამს გრაფინის წყალი, ლოგინს და ოთახის სისუფთავეს ნულარკითხამთ. ო! მართლა გრიგოლი!! აბა გრიგოლი!. გრიგოლი, კროკი!! მარა მაგაზედ შემდეგ..

ვ—ბიკი—ბიკი.





პასუხად „ეფ.—მათკანის“ ვოლდემარს.

ამ მოძრაობის ახალმა ხანამ ჩვენს ქვეყანას მთავრად ერთი ჯურის ახალგაზრდები, რომლებსაც ადამიანის სახე აქვს, მაგრამ იმათ რიცხვში ჩასათვლი ან არიან. ეს ერთი ჯურის ადამიანები სხვის შინად ღიბსებას და თავ-მოყვარეობას ისე ჩაღვს აფასებენ როგორც თავისას. მათ არ უყვართ თავიანთი თავი, არ უყვართ პატიოსნება და მისთან არც სხვისა შინადი ღიბსება. სხვისი ღიბსება, პატიოსნება და თავმოყვარეობა სურთ ფეხთქვეშ გათქვან და მით აღიმაღლენ თავიანთი ასკილივით ცარიელი თავი მათს უმეტეს თანამორწმუნეთა შორის. აი, ასეთმა სინიღისზე ხელ-აღებულმა ამავე ქვეყანას მთავრად იხსიან ისეთი რგანო, რომელიც ბილწობით, ცილის წამებით და შინადი ჟინით გაუღნთილი ღანძრავის იმით ვინც მათი რწმენისა არ არიან. ასეთ არა სასურველ კაცთა შორის აღმჩნედა ფოთელი ვოლდემარი „ეშმაკის მათკანის“-ს № 30-ში, რომელიც ჩირქსა მცხებს ისეთ რამეზე, რაც ფიქრადაც არ მომსგლია, მაგრამ თავის მართლება აქ რა საჭიროა. ვისთან უნდა ვიმართლო თავი? ვოლდემართან და ვითომდა იუმორისტულ უურნად „ეშმაკის მათკანთან“? გასაკვირია ღმერთმანი! ვინც დასხვობით მიცნობს, ვინც იცნობს ჩემს ადამიანობას იმათთან თავის მართლება რა საჭიროა. მაგრამ რა უნდა უზახუბო ისეთ იუმორისტულ უურნადს რომელიც შინადობაზე დაიწეებს ღანძრავს. ან რა მოკითხება ისეთი უურნადის ფურცლებს, რომელსაც მასალა შემდეგვია და მისი დასიცხული კორესპონდენტი ექიმის არშეიბაზე, ეტლით სიარულზე და მის რიჟა მატკანაღვს დაიწეებს წერას. თუ არ დაჯერებთ მკითხველთა იხილეთ № 29. ასეთი უურნადის კორესპონდენტი ვოლდემარი ცილს მწამებს ვითომც ბ. ვინ-ღანის დაჭერა გამხარებოდეს, რომელიც რამდენიმე დღის შემდეგ განთავისუფლეს; ამასთან ღანძრავის სტამბის დაკეტვაც, რომელიც არ დაუკეტათ. რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ კაცმა მოწინააღმდეგეს სხვა ვერა მოუნახა და ასეთი წარმოუდგენელი ბრადდება მოახვია თავზე. ამასთან სწერს, რომ ვითომც აკობის შემდეგ ჩემი ჭკობის გუდა არ გამებეროს, ე. ი. ს. დ. ცილის წამება არ დამეწეროს. ხასუხი მოკლე და მკაფიოა. არ უფიქრა არც ერთი ჩემი წერილი ცილის წამება, არამედ უფველთვის ფაქტობზე იყო დამუარებული და არც მამა-ვალში ვიქნები ჭკუაზე შემდგარი, რომ რომელიმე იდეის მოწინააღმდეგეს ცილი დავსწამო (საწელების ს. დ. აკობის სახე აქაც ეღანდებათ) ეს თქვენი განუშორებელი ჩვეულებაა ვოლდემარ და თქვენთვის დაგვითმია. მხოლოდ ეს თქვენი სიტყვები ჩემდამო სიხარული ვინ-ღანის დაჭერით ან სტამბის დაბეჭდვით რამდენათ მართალია ეს მათთვის მიმინდვია, როგორც გულ ახლიდ

მოქალაქეებისთვის. არ გეგონო კი ზოგიერთი მკანა მათკანის წევრი: ქურდი, წამრთმევი, მოღალატე და მკანა მათკანის შინადი ჯერ არავის შეგვხვები. ეს შენი მახინჯი გონების ბრადია და სხვა არაფერი. თამამად გულ-წრფელად ვლიარებდი უფველთვის და უფველგან ჩემს რწმენას, რამდენადაც კი შემწევდა გონება, აზრი, რწმენა და იმედი. არც მომავალში დავკარგავ ისე ჭკუა-გონებას, რომ ჩემი რწმენა ნიავ ქარს გავატანო და ვინმეს შინადი ჟინის გულისათვის ჩირქი მოგცნო. ასეთი სულ მდაბლობა მიმინდვია ფოთელი ვოლდემარისთვის და მის მინჭია-მიმუნ უურნად „ეშმაკის მათკანისთვის“.

დეე, იგემეთ, იტულდურეთ, მაგრამ იქანიეთ სახეში, რომ მავით ფანს ვერ გახვალთ. რაც შეეხება ჩემს ბუღვარზე სიარულს და არშეიბას (საწეალი ს. დ. ბერათ ადკვეცილან) ეს სულ სხვა კითხვია. ამაზე უახუსი მეტია. ბოლოს მინდა ორიოდ სიტყვით დავამთავრო: „პატიოსან მტერთა შორის მტრიული ნამუსია“ მაგრამ შენ არც ნამუსი გაქვს და არც კაცობრიობა. მედგარი.

უცნაური მოსახრლე.


(ხადალადეველების მესტკურული სიმღერა)

ავერ რა ერთი ხანა ვიბრძვით მიწა წყლისთვინაო, ბევრი ჭირ-ვარაპის მნახველთ ძლივს ღმერთმა შეგვისმინაო: არღუთანსკი მოკიშორეთ, ელია მოგვევლინაო; მისმა ღლასნობამ სეყველას გულებიც დავვილხინაო... ვსტქვით თუ ეხლა რალა გვიშავს, ჩვენი საქმე კარგად წავა, თუ საბჭოში გვეყოლება ჩვენ მოსარჩელეთ ელიავა — ესღევების ბელადია, ბურჟუეზებს რომ თავს დასჩხავა. სიტყვა უჭრის ღარიბთათვის, ბურჟუეზებზე ვნაც ქავა... მაგრამ ვაგლახ, რომ მოგსტყუედით, დავრჩით ხახა გამშრალედი დღეავა გონზე ვერ მოგსულვართ ნიკოსგან განიშყრალედი.. თურმე განაპირ მცხოვრები ყოფილინ ყმა და მონები — მათ რად უნდათ სახლი-კარი, უნდა იყვენ ბოგანები: საკუთრება ხელს უშლისო ხალხის გაპროლეტარებას, სიღატაკე-ბოგანობა გვიქადისო ნეტარებას. მათ რად უნდათ მიწა წყალი, უმტყუნებენ მარქსის მცნებანს პროლეტარსა ბინადრობა დაუშლისო გამარჯვებას... ასე უზნობს ელიავა თავის რეჩში საბჭოს შინა სტყუიანო „ნასალოვცი“, მათ არ უნდათ კარი ბინა ამ გვარ სარჩლით-ქომავობით ცხარე ცრემლები გვადინა მავისთანა დემაგოგი ღმერთმაც დასტურ შეარცხვინა. კერი.

სამართალში გამოწვევა.

ბ-ნო რედაკტორო! თქვენი პატივცემული „ნიშადურის“ 45-ში მოთავსებულია ბ. „ერიკის“ წერილი, „განვითარებული შექცევა“, ჩემს შესახებ. ვიწვევ ბ. „ერიკს“ სამედიატორო სამართალში. მედიატორებათ ვასახელებ: დავით წერეთელს და ლადო მოსევილს. მათმა მიუდგომელმა მსჯავრმა გაავებინოს მკითხველთ საზოგადოებას ვისთვის არის საჭირო ნიშადური, ჩემთვის თუ ბ-ნ. „ერიკისთვის“ აპალონ სვანიძე.





მწერლობის „კუტრუსები“

მწერლობის „სპარაფუჩილები“  
ქრეწული  
გიგლიოთეკა



მელნათ ვიხმარე ჭუჭყასა ტბა,  
კალმათ შხამი და ჭეცელიო,  
.ესფერთა“ გინებაშია  
მაგრად გავიდგი ფესვიო.  
ძაგს, მეჯავრება სინათლე,  
მიყვარს წყვდიადი ბნელიო...  
დავენაცვალე „ესდევებს“  
ოდელა... დელი... დელიო!-  
გრი—გრი.



„Bravo“ „ტფილისის ლისტოკიდან“.

დასაწყისი და დასასრული

ყველაფერს აქვს დას ბამი და დასაწყისი.  
ყველაფერს აქვს ბოლო და დასასრული.  
მაგრამ ქართველ ესდევების დემაგოგობას და-  
სასრული არ უჩანს.  
დღეს—ღამე სცვლის და ღამეს—დღე.  
მაგრამ ჩვენებური მარქსისტების სიცრუეს  
მხოლოდ სიყალბე სცვლის.  
ძალმომრეობას განთავისუფლება მოსდევს,  
რეაქციას—თავისუფლება.  
მაგრამ ჩვენებურ მარქსისტებს მოსდევს გა-  
ვერანება და მათს დოგმატიკას ბოროტ-მოქმედება.  
სიმძულვარეს სიყვარული იქარწყრებს, ხოლო  
ესდევების ჭორებს ცილის წამება აპოხიერებს.  
უბედურებას ბედნიერება მოსდევს, ხოლო  
ჩვენებურ მარქსისტების სოციალისტობას სულის  
შეხუთვა და ხალხის დაბევერა ახასიათებს  
ყველაფერს ბოლო აქვს, ხოლო არა აქვს და-  
სასრული ქართველ მარქსისტების ავსულობას და  
და მავნებლობას.

ტეტიო.

მურმორული საუბარი

— კარაპეტჯან, სად ხარ — აღარ სჩანხარ?..  
— სახლში ვარ მინას-ჯან.... ვზივარ ჩემს თა-  
ქუასთან, გარედ არ გამოვდივარ!..  
— ხარ, რათა? რა მიზეზია რომ ჩაკეტო-  
ხარ?  
— მოტაცებისა მეშინიან!  
— ფიე! რომელი მზეთ უნახავი შენა ხარ,  
რომ მოგიტაცონი?  
— ეე, ტუტუტ! ყასაბი დარჩუა მზეთ უნა-  
ხავი იყო რომ მოიტაცეს!  
გრი—გრი.

\* \*

— სილიბისტრო, გეიგე რაეა „დაუნაზადეს“  
ჩვენებურმა „სოციალისტებმა“?  
— როდის, რაში?  
— წეიკითხე „ნაპერწყალის“ და „ნაშა ყიზ-  
ნის“ მეხუთე ნომრები 28 მაისში მომხდარ ამბის  
გამო?  
— წევიკითხე, მაგრამ აგი ეფერია. ეხლა რე-  
ვოლიუციის დრო წევიდა და მიტომ ევოლიუციის  
ხ.ნა დადგა და ჩვენებური „სოციალისტები“ „და  
ნაზადებაში“ ევოლიუციობენ!..  
სოხონიკა.

რედაქტორ-გამამც. ვალერიან გუნია.